ენის პოლიტიკა

EUROPEAN SCHOOL

დოკუმენტის განახლების პერიოდულობა: ყოველწლიური პოლიტიკა შემუშავებულია: ენის კომიტეტის მიერ
პოლიტიკის შემუშავების პერიოდი: 2009 წლის სექტემბერი
დოკუმენტის განახლების ბოლო თარიღი: 2022 წლის სექტემბერი
დოკუმენტი განახლებულია: ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის მიერ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

2 I. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

სკოლის მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

სკოლის ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ✓ ინოვაციის გზით სვლა;
- ✓ სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- ✓ განვითარება სწავლის საშუალებით;
- ✓ გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. „ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღვწით, რათა:

- ✓ შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- ✓ განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ✓ ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ✓ ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

სარჩევი

სკოლის მისია	2
სკოლის ღირებულებები	2
ჩვენ ვიღვწით, რათა:	2
სკოლის ხედვა ენასთან დაკავშირებით	4
სკოლის სამუშაო ენები	5
„ევროპულ სკოლაში“ მიღების წესი	5
დაინტერესებულ მხარეთა ვალდებულებები	6
ენის შესწავლის ხელშეწყობა მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის მიერ	6
მშობლიური ენის მხარდაჭერა	7
ქართული, როგორც მასპინძელი ქვეყნის ენა	7
ენების შესწავლა ქართულ პროგრამაში	9
ქართული ენა და ლიტერატურა	9
ინგლისური, როგორც უცხო ენა	9
ენის სწავლების პროფილი	9
უცხო ენების შესწავლა ქართული პროგრამის ფარგლებში	11
ენების შესწავლა საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებით პროგრამაში (PYP)	12
ენის სწავლების პროფილი	12
ენა და ლიტერატურა/Language A	12
უცხო ენის შესწავლა/ Language Acquisition	13
ენების შესწავლა საბაზო პროგრამაში (MYP)	13
ენა და ლიტერატურა (Language and Literature)	13
ინგლისური, როგორც უცხო ენა/ LA English	14
ენების შესწავლა სადიპლომო პროგრამაში (DP) (და კარიერულ პროგრამაში (CP)	15
ლიტერატურა/Language A:Literature	15
უცხო ენის შესწავლა Language Acquisition	16
ენების შესწავლა ამერიკულ უმაღლეს სკოლაში	17
ამერიკული უმაღლესი სკოლის სამუშაო ენა	17
საბავშვო ბაღი	17
გამოყენებული ლიტერატურა	18

სკოლის ხედვა ენასთან დაკავშირებით

ჩვენთვის ენა კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ადამიანებს თვითგამოხატვის, აზრების გაზიარებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას აძლევს. ჩვენს სკოლაში სერიოზულად ვუდგებით ენის სწავლების საკითხს, როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის, ურთიერთგაგების, თვითგამოხატვისა და სხვების მიმართ თანაგანცდის მნიშვნელოვან საშუალებას დღევანდელ მსოფლიოში, სწრაფი და მარტივი კომუნიკაციისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პირობებში.

ჩვენ გვჯერა კომპლექსური სწავლების, რომელშიც კულტურათაშორისი ცნობიერების ამაღლება და კომუნიკაციის უნარებია წამოწეული. მნიშვნელოვანია ყოველი მოსწავლის საჭიროებათა გამოვლენა და იმის გააზრება, რომ თითოეული მოსწავლე განვითარების ეტაპებს სხვადასხვაგვარად აღწევს. ეფექტური შეფასების პრაქტიკის შედეგად, მასწავლებლებს შეუძლიათ, „ევროპული სკოლის“ ყველა მოსწავლეს მიაღწევინოს ამ მიზნისთვის.
„ევროპული სკოლა“ ეფუძნება ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტებსა და საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებს და მოსწავლეებს სთავაზობს ორ ენაზე ხარისხიანი განათლების მიღებას.

სკოლის მიზანია, მოსწავლეებს სათანადო ცოდნა და უნარი განუვითაროს, რათა მათ მრავალენოვან და კულტურულად განსხვავებულ სამყაროში მაქსიმუმის მიღწევა და საკუთარი თავის მართვა შეძლონ.

ჩვენ ვთვლით, რომ ენა აზრის ჩამოყალიბების ინსტრუმენტია. მიგვაჩნია, რომ:

- ენის ცოდნა ძირითადი ელემენტია კრიტიკული აზროვნების, საკომუნიკაციო და სწავლის უნარების განვითარებისთვის, რაც აუცილებელია კულტურათაშორისი აღქმისა და საერთაშორისო თვალსაწიერის მქონე ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური საზოგადოებების წევრთა აღსაზრდელად. ყველა პედაგოგი ენის მასწავლებელია;
- სწავლის პროცესი სამ ძირითად ასპექტს მოიცავს, რომელიც ასახულია მთელ სასწავლო გეგმასა და ენის პროგრამებში, ესენია: ენის სწავლა, ენის შესახებ სწავლა და ენის მეშვეობით სწავლა;
- ენის შესწავლა უწყვეტი პროცესია.

„ევროპული სკოლის“ ენის პოლიტიკა იმ შეხედულებას ემყარება, რომ ენები საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ასპექტსწარმოადგენს. ჩვენს სკოლას აქვს უნიკალური სოციალური კონტექსტი ენის სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებებით. „ევროპული სკოლის“ ენის პოლიტიკა ითვალისწინებს ჩვენი სკოლის საზოგადოების განსაკუთრებულ სოციალურ-კულტურულ გარემოს.

დოკუმენტი მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება ენის სწავლასა და სწავლებას, შესაბამისი კლასის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, ენების არსებული ცოდნის გამოყენების სტრატეგიებს ახალი უცხოური ენის დაუფლების მიზნით, სამი სხვადასხვა პროგრამის სწავლა-სწავლების სტრატეგიასა და პრიორიტეტებს, მოსწავლეთა პერსონალური საჭიროებების გამოვლენას და ა.შ.

დოკუმენტი განსაზღვრავს მასწავლებლისა და მოსწავლის როლს და ითვალისწინებს მშობლიური ენის, სავალდებულო და არჩევითი ენების სწავლების სპექტრს, რაც უზრუნველყოფს მულტილინგვიზმის მხარდაჭერას.

სკოლის სამუშაო ენები

„ევროპულ სკოლაში“ მიღების წესი

ენის პოლიტიკა უზრუნველყოფს თანაბარ წვდომასა და ჩართულობას ქართულ პროგრამაზე, ამერიკულ უმაღლეს სკოლასა და IB პროგრამებზე, რომლებსაც სკოლა სთავაზობს ყველა მოსწავლეს, მათ შორის მათაც, ვისთვისაც სწავლების ენა არ არის მშობლიური/პირველი ენა/მშობლიურთან გათანაბრებული ენა (გარდა DP პროგრამისა).

მიღებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი ქართულსა და ინგლისურ ენებზეა წარმოდგენილი. მოსწავლე 1-5 კლასში ჩაირიცხება ენის ტესტის სასურველია, რომ მე-6-9 კლასის მოსწავლეებმა ენა საშუალო დონეზე იცოდნენ, რომელიცშეფასდება სკოლაში მისაღები ტესტირებით. მე-10-12 კლასის მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ სწავლების ენაზე საუბარი, წერა, კითხვა და გაგება. მიუხედავად აღნიშნულისა, ყოველი მოსწავლის შემთხვევის განხილვა ინდივიდუალურად მოხდება. მშობლებს ურჩევენ, განიხილონ, რომელი რესურსები და მეთოდები გამოიყენონ თავიანთი შვილების ენობრივი პროფილისა და განვითარების დასაგეგმად.

უფრო ფართო საზოგადოების ენა (ენები):

- „ევროპული სკოლა“ მხარს უჭერს და ხელს უწყობს ფართო საზოგადოების ენას (ენებს).
- სკოლა საერთაშორისო დღეების, ენის დღეებისა და კულტურის დღეების აღნიშვნის გეგმას რთავს სასწავლო პროგრამებსა და კლასგარეშე აქტივობებში.

კომუნიკაციის ენა

მოსწავლეთა ანგარიშები: მოსწავლეებს კომენტარები წარედგინებათ ქართულსა და ინგლისურ ენებზე.

მშობელთა და მასწავლებელთა კრებები, პრეზენტაციები, ვებინარები და სხვა ღონისძიებები სკოლაში ტარდება პროგრამის შესაბამის ენაზე; აუცილებლობის შემთხვევაში თარგმანითაც.

გაზეთები და სკოლის საზოგადოების სხვა საინფორმაციო საშუალებები გამოიცემა ქართულსა და ინგლისურ ენებზე.

სკოლის ვებგვერდი

ინფორმაცია „ევროპული სკოლის“ ვებგვერდზე მოცემულია ქართულსა და ინგლისურენებზე.

დაინტერესებულ მხარეთა ვალდებულებები

„ევროპული სკოლის“ ენის პოლიტიკა აღიარებს, რომ ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარებსა და სკოლის სხვა პერსონალს პროფესიული განვითარებით შეაქვს წვლილი ენის შესწავლისა და სწავლების სფეროში.

ადმინისტრაციული გუნდის როლი

ადმინისტრაციული გუნდის როლია: ქართულისა და ინგლისურის, როგორც სამუშაო ენების, განსაზღვრა; სკოლის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტება; მასალების მომზადება, ნებისმიერი საჭირო პირობის უზრუნველყოფა (ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა).

მასწავლებლის როლი

- ყველა პედაგოგი ენის მასწავლებელია;
- პროგრამის შესაბამისი კომუნიკაციის ენა გამოიყენება;
- შესაბამისი სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდების შემუშავება.

მშობლების როლი

- სხვა მშობლებთან თანამშრომლობა და ერთმანეთისთვის კრიტიკული იდეების გაზიარება;
- პროგრამების გაცნობა და მათი მიზნების გაგება.
- გააზრება, რომელი რესურსებისა და მეთოდების გამოყენებაა საჭირო ბავშვების ენობრივი პროფილის დასაგეგმად და განსავითარებლად.

მოსწავლის როლი

- იყვნენ პოზიტიურნი;
- სკოლაში ყოველდღიური კომუნიკაციისას ისაუბრონ შესაბამის საკომუნიკაციოენაზე (ქართული/ინგლისური);
- გამოიყენონ ყველა საშუალება ცოდნისგაღრმავების მიზნით;
- გააანალიზონ სუსტი მხარეები და მასწავლებელს მიმართონ დახმარებისთვის;
- სწავლის პროცესს შემოქმედებითად მიუდგნენ და გაიღრმავონ ენის ცოდნას ხვადასხვა საგანში.

ენის შესწავლის ხელშეწყობა მოსწავლეთა დახმარების ცენტრის მიერ

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას სთავაზობს: მოსწავლეთა დახმარების ცენტრი დამატებით უზრუნველყოფს გაკვეთილების შემდეგ იმ მოსწავლეების დახმარებას, რომლებიც ახალი გადმოსულები არიან „ევროპულ სკოლაში“ და ესაჭიროებათ სკოლის პროგრამასთან დაწევა, ან სწავლაში სირთულეები ექმნებათ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ჯგუფებში, ან ესაჭიროება სწავლების განსხვავებული ფორმები.

მოსწავლეთა დახმარების ცენტრის ინგლისური ენის, როგორც დამატებითი ენის, პროგრამა (EAL) შემუშავებულია მოსწავლეებისთვის, რათა წარმატებით დაეუფლონ ინგლისურ ენას აკადემიური და სოციალური მიზნებისათვის. „ევროპულ სკოლაში“ ჩარიცხვის პროცესში განისაზღვრება, ესაჭიროება თუ არა მოსწავლეს EAL პროგრამის დახმარება.

საბაზისო პროგრამის მოსწავლეებს „ევროპული სკოლა“ სთავაზობს ინგლისური ენის ორი სახის მხარდაჭერას:

- EAL კლასები დამწყებთათვის, რომელთა ინგლისური ენის ცოდნა არასაკმარისია.
- ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა გათვალისწინებულია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც პერიოდულად ესაჭიროებათ ინგლისური ენის მასწავლებლის დახმარება დამატებითი მეცადინეობების სახით.

EAL მასწავლებლები მოსწავლეებს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველებისა და მოსმენილის გააზრების უნარების გაუმჯობესებაში ეხმარებიან, რათა სასწავლო პროცესში აკადემიურ წარმატებას მიაღწიონ.

EAL მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს კვირაში 5 გაკვეთილის ოდენობით, EAL საჭიროების მიხედვით. ინგლისური ენის მასწავლებელი სწავლის ხელშეწყობის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს.

მშობლიური ენის მხარდაჭერა

- მოსწავლეები, რომელთა მშობლიური ენა (ენები) არ არის სწავლების ენა, იღებენ დახმარებას ენის განვითარებისთვის;

- სკოლა ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფს მშობლიური ენის (ენების) განვითარებასა და შენარჩუნებას, სკოლის გარე ინდივიდუალური ენის პროგრამების ან/და ხელმისაწვდომი ონლაინ ენის ცენტრების საკონტაქტო სიითა და საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციების მეშვეობით.

- ბიბლიოთეკის რესურსები პერიოდულად განახლდება, რათა შეიქმნას ფართო სპექტრის მშობლიური ენის(ებ)ი მასალები: წიგნები შესაბამის ენებზე, კულტურასა და მემკვიდრეობაზე, ასევე ზოგადი საცნობარო წიგნები, ონლაინ და ინტერაქტიული მედია.

„ევროპული სკოლა“ აღიარებს მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობას და მუშაობს ამ კომუნიკაციის გასამარტივებლად. იმ მშობლებთან, რომლებიც ინგლისურად არ საუბრობენ, კომუნიკაციის შემთხვევაში:

- „ევროპული სკოლის“ ორენოვანი მშობელთა კომიტეტი მუშაობს ყველა ორენოვან ჯგუფთან მკაფიო კომუნიკაციის წასახალისებლად.

- „ევროპული სკოლის“ პერსონალი ხშირად ასრულებს თარჯიმნის როლს სკოლასა და მშობლებს შორის.

- „ევროპული სკოლა“ თარჯიმნად მოიძიებს მოსწავლეებს, რომელთაც გააჩნიათ აუცილებელი ენობრივი ცოდნა და უნარები.

ქართული, როგორც მასპინძელი ქვეყნის ენა

ჩვენ, როგორც საერთაშორისო სკოლას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლაში ჩვენი მოსწავლეების საჭიროებათა გამოვლენისა და მხარდაჭერისთვის. მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლა მოსწავლეს აქ ცხოვრების პირადი გამოცდილების გამდიდრებაში ეხმარება და ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალიზაციის საშუალებას აძლევს. ენა, ასევე, სიღრმისეულ ცოდნას იძლევა მათი

ქვეყნისგან განსხვავებული კულტურული ღირებულებების, ტრადიციებისა და სოციალური ნორმების შესახებ. მეორე ენის შესწავლით მოსწავლე უფრო კარგად აცნობიერებს და შეისწავლის ქვეყნის ენას, კულტურასა და კულტურულ თვითმყოფადობას.

მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლის პროგრამა შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართული ენის გამოყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც და თავისუფალ დროსაც. აღნიშნული თემები მოიცავს შემდეგს: დამეგობრება და სტუმრად წასვლა, საყიდლები და ფული, ტანსაცმელი, ამინდი, საჭმელი და სახლის გარეთ კვება, ასევე დასვენება;
- საქართველოსა და მისი კულტურის, ქვეყნის ადათ-წესების, ტრადიციებისა და დღესასწაულების, ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა;
- ქართული ენის შესახებ მასალათა შესწავლა და ენის თავისებურებების სხვა ენებთან შედარება;
- პიროვნული, სოციალური და სამეცნიერო სამყაროს ქართული ენის მეშვეობით შესწავლა და მათი დაკავშირება სასწავლო გეგმასთან.

ქართული ენის მხარდაჭერა

მოსწავლეებს, რომლებიც არ საუბრობენ ქართულად უტარდებათ ქართულის გაკვეთილები (Georgian for Beginners).

ენების შესწავლა ქართულ პროგრამაში

ქართული ენა და ლიტერატურა

ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებს ეფუძნება. ენების ცოდნა მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და სწავლის უნარების განვითარებისთვის, რაც აუცილებელია კულტურათაშორისი აღქმისა და საერთაშორისო თვალსაწიერის მქონე ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური საზოგადოებების წევრთა აღსაზრდელად.

ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის მიზნებია:

- მოსწავლეთა წახალისება, რათა ენა გამოიყენონ აზროვნების, შემოქმედებითობის, თვითგამორკვევის, სწავლის, თვითგამოხატვის, ანალიზისა და სოციალური ჩართულობისათვის;
- მოსწავლეებში მოსმენის, საუბრის, კითხვის, წერითი, ვიზუალური აღქმისა და საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- ლიტერატურული და კლასგარეშე საკითხავი მასალის შესწავლისა და ანალიზისთვის კრიტიკული, შემოქმედებითი და ინდივიდუალური მიდგომის განვითარების ხელშეწყობა;
- მრავალფეროვანი ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გაცნობიერებული პატივისცემის დანერგვა;
- მოსწავლეებში კითხვისადმი ინტერესის აღძვრა, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ;
- ენების შესწავლისადმი ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და მუდმივი ინტერესის გაღვიძება.

ინგლისური, როგორც უცხო ენა

უცხოური ენების ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. როგორც საერთაშორისო სკოლა, ჩვენ მიზნად ვისახავთ განვავითაროთ მულტიკულტურული გაგება, როგორც ენის შესწავლის ძირითადი ასპექტი. ჩვენი სწავლა-სწავლების მეთოდი საერთაშორისო სკოლის ღირებულებებს შეესაბამება. ამგვარად ჩვენ ვამყარებთ პოზიტიურ ურთიერთობებს და ურთიერთპატივისცემითა და გაგებით ვქმნით ინკლუზიურსა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს.

ჩვენი სასწავლო პროგრამები უწყვეტ პროგრესს სთავაზობს ყველა მოსწავლეს, რა ასაკშიც არ უნდა იწყებდნენ ისინი ჩვენს სკოლაში ინგლისური ენის შესწავლას.

ენის სწავლების პროფილი

ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენაა, ამიტომ ინგლისური ენის ცოდნა ფასდაუდებელ სასიცოცხლო უნარს წარმოადგენს. ჩვენი მოსწავლეები

ინგლისური ენის შესწავლით აზროვნების ახალ გზებს ეცნობიან და საკუთარი თავის გამოხატვას სწავლობენ. უცხოური ენების შესწავლა მათ ნებისმიერ ენაზე კომუნიკაციაში უკეთ დაეხმარება, რადგან ამგვარად ისინი ენის თავისებურებებს ეცნობიან, ასევე, იდეების გამოხატვას და მრავალფეროვან სოციალურ და სამუშაო სიტუაციებში სხვებთან ურთიერთობას სწავლობენ.

ჩვენი მოსწავლეები საბაზო საფეხურის დაბალ და მაღალ კლასებად არიან დაყოფილი მეტი ჩართულობის, უშუალოდ მათზე მორგებული და სათანადო სირთულის გაკვეთილების უზრუნველყოფის მიზნით.

ინგლისურენოვანი გაკვეთილები „ევროპული სკოლის“ I-XII კლასებში შემდეგი ინტენსივობით ტარდება:
I კლასი (35-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 3-ჯერ) II კლასი (40-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 3-ჯერ)
III კლასი (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 4-ჯერ)
IV-XII კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 5-ჯერ)

ჩვენი მასწავლებლები

ინგლისური ენის მასწავლებლებად შეირჩევიან საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვალიფიკაციის მქონე ინგლისური ენის სპეციალისტები, რომელთაც სათანადო ცოდნა, უნარი და გამოცდილება გააჩნიათ, რათა ჩვენს მოსწავლეებს უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებისა და სწავლის სტრატეგიების განვითარებაში დაეხმარონ. ჩვენი მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილია მიმდინარე პროფესიული განვითარება და ხელმძღვანელი აკადემიური გუნდის მხარდაჭერა იმისათვის, რომ თითოეულ მოსწავლეს მაღალი ხარისხის განათლება შესთავაზონ.

ინგლისური ენის სწავლების მეთოდი

„ევროპული სკოლის“ საკლასო ოთახებში მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან უცხოენას, ვინაიდან მასწავლებლები:

- ეხმარებიან მოსწავლეებს იმ სტრატეგიების განსაზღვრაში, რომლებიც მათ ენის წარმატებით და დამოუკიდებლად შესწავლისთვის ესაჭიროებათ;
- იყენებენ შეფასების მეთოდებს სწავლის ხელშეწყობისა და სწავლის დონის გასაზომად;
- იძლევიან დროულსა და კონსტრუქციულ უკუკავშირს სწავლის მიმდინარეობის შესახებ;
- სწავლის პროცესში მოსწავლეებს სისტემატურად დაფიქრების და განსჯისკენ წაახალისებენ;
- მოსწავლეებთან ერთად მათთვის საჭირო მიზნებს დასახავენ და განიხილავენ;
- მოსწავლეებს მიაწვდიან ინფორმაციას სწავლის პროცესის მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
- ქმნიან პოზიტიურსა და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რომელშიც მოსწავლეები ერთად და ერთმანეთისგან სწავლობენ და კლასში უფრო დამაჯერებლად საუბრობენ ინგლისურად;
- ეხმარებიან მოსწავლეებს კულტურათაშორისი ცნობიერების ამაღლებასა და

განვითარებაში;

- იყენებენ მრავალფეროვან რესურსებსა და ტექნოლოგიებს მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით;
- ეხმარებიან მოსწავლეებს ინგლისური ენის სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულებისა და თანმიმდევრული ძალისხმევის ჩამოყალიბებაში.

კლასში სამუშაო ენა

მიგვაჩნია, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის საკლასო ოთახში ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია უაღრესად მნიშვნელოვანია. რაც უფრო ადრეულ ასაკში ჩაერთვება მასში მოსწავლე, მით უფრო მაღალი იქნება მისი ინგლისური ენის ფლობის დონე.
კლასში მხოლოდ ინგლისური ენის გამოყენება ყველა უნარის განვითარებას უწყობს ხელს; ავითარებს პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობას და დროთა განმავლობაში ნდობის ხარისხს ზრდის. ეს კი მოსწავლეებს საშუალებს აძლევს, ინგლისურ ენაზე განავითარონ ალტერნატიული შინაგანი ხმა, რომელიც მათ შეუფერხებლად და სწორად მეტყველებას გაუადვილებს.

ჩვენ ასევე გვესმის, რომ, შესაძლოა, ცალკეულ სიტუაციებში გაკვეთილზე მასწავლებელმა და მოსწავლემ ქართული ენა გამოიყენონ, მაგალითად, როდესაც მოსწავლეს რამე აწუხებს, ან საგანგებო ვითარების დროს.

უცხო ენების შესწავლა ქართული პროგრამის ფარგლებში

„ევროპულ სკოლაში“ ენის შემსწავლელი პროგრამები მოსწავლეთა საგანმანათლებლო შესაძლებლობების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ ვცდილობთ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი, საჭირო და საინტერესო პროგრამების შეთავაზებას. ენის შესწავლის პროგრამის მიზნები პასუხობს მასწავლებლისა და მოსწავლის მოლოდინს სწავლებისა და შესასწავლი მასალის შესახებ. აღნიშნული მიზნები მოსწავლის მიერ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.
უცხოური ენების სწავლა-სწავლების პროგრამის უმთავრესი მიზანია, მოსწავლეს მისცეს შესაძლებლობა, კრიტიკულ და სათანადო კომპეტენციის მქონე კომუნიკატორად ჩამოყალიბდეს.

უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიზანია:

- ლიტერატურული და კლასგარეშე საკითხავის შესწავლისა და ანალიზისთვის კრიტიკული და შემოქმედებითი მიდგომის განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლის წახალისება, რომ ენა გამოიყენოს აზროვნების, შემოქმედებითობის, თვითგამოხატვისა და სხვა საგნების ცოდნის გაღრმავებისთვის;
- მოსწავლეებში მოსმენის, საუბრის, კითხვის, წერითი, ვიზუალური აღქმისა და საპრეზენტაციო უნარების განვითარება;
- მრავალფეროვანი ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გაცნობიერებული პატივისცემის დანერგვა;
- ენების შესწავლისადმი ცნობისმოყვარეობის, კვლევისა და მუდმივი ინტერესის

გაღვიძება.

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს შემდეგი ენების შესწავლას სთავაზობს:

- ფრანგული ენა

V -კლასი (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში სამჯერ)

VI-VIII კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში ორჯერ) IX-X კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 3-ჯერ)
XI-XII კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში ორჯერ)

- გერმანული ენა

V -კლასი (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში სამჯერ)

VI-VIII კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში ორჯერ) IX-X კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 3-ჯერ)
XI-XII კლასები (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში ორჯერ)

- რუსული ენა

I - კლასი (35-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 2-ჯერ) II-X კლასი (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 3-ჯერ)
XI-XII კლასი (45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 2-ჯერ)

ენები საერთაშორისო ბაკალავრიატში (IB)

დაწყებითი საფეხურის/სკოლის პროგრამა (PYP)

დაწყებითი სკოლის პროგრამაში (PYP) სწავლების ძირითადი ენა ინგლისურია. მშობლებთან კომუნიკაციის ენა არის ინგლისური. სხვა ეროვნების მშობლებთან კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე ვახორციელებთ, ან საჭიროების შემთხვევაში, მათთარჯიმნის მეშვეობით ვუკავშირდებით.
უცხოურ ინსტიტუტებთან კორესპონდენციის ენა არის ინგლისური. ჩვენი ვებგვერდი ინგლისურ და ქართულ ენებზეა მოცემული.

ენის სწავლების პროფილი

ენა სწავლის, აზროვნებისა და კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ენის დაუფლება ღირებულ სასიცოცხლო უნარს წარმოადგენს. ეს არის ძლიერი ინსტრუმენტი როგორც საზოგადოებაში კომუნიკაციის, ასევე პირადი მოსაზრების გამოსახატავად. ერთი ან მეტი უცხოური ენის ცოდნა თითოეულ მოსწავლეს ენობრივი შესაძლებლობების სრულად მიღწევის საშუალებას აძლევს.

ენა და ლიტერატურა/Language A

Language A პროგრამა წერითი, ვიზუალური აღქმისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარ- ჩვევებს ავითარებს, რაც მოიცავს კითხვასა და წერას, ვიზუალურ ხედვასა და წარდგენას, ასევე, საუბარსა

და მოსმენას.
„ევროპული სკოლა“ დაწყებითი სკოლის პროგრამის (PYP) I-V კლასის მოსწავლეებისთვის ძირითადი ენის სწავლების ფარგლებში შემდეგ მეცადინეობებს სთავაზობს:
ხანგრძლივობა:

I კლასი - 35-წუთიანი გაკვეთილი

II კლასი - 40-წუთიანი გაკვეთილი

III, IV და V კლასი - 45-წუთიანი გაკვეთილი

- ინგლისური ენა და ლიტერატურა (English A): I – V კლასი (კვირაში 6 გაკვეთილი)
- ქართული ენა და ლიტერატურა (Georgian A): I – V კლასი (კვირაში 5 გაკვეთილი)

რუსული ენისა და ლიტერატურის (Russian A) სწავლება III-V კლასის მოსწავლეებისთვის გათვალისწინებულია, როგორც კლასგარეშე საგანი.
- რუსული ენა და ლიტერატურა (Russian A): III – V კლასი (კვირაში 2 გაკვეთილი)

უცხო ენის შესწავლა/ Language Acquisition

მეორე უცხო ენის შესწავლას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „ევროპული სკოლის“ IB PYP პროგრამიდან IB MYP პროგრამაზე გადასვლის ეტაპზე. მიჩნეულია, რომ უცხო ენის შესწავლა მოსწავლეებს სწავლის მეთოდების, სტრატეგიებისა და სასწავლო უნარების გაცნობიერებაში ეხმარება. დამატებითი ენის შესწავლა კულტურათაშორისი ცნობიერების ამაღლებასა და პატივისცემას, შესასწავლი ენის კულტურის მიმართ თანაგრძნობას და ფართო თვალსაწიერს ავითარებს.
„ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი სკოლის პროგრამაში (PYP) სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია რუსული, გერმანული და ფრანგული ენების შესწავლა.
„ევროპული სკოლის“ PYP პროგრამაში შემდეგი უცხო ენები ისწავლება:

- ფრანგული ენა მე-5 კლასში (კვირაში 3 გაკვეთილი)
- გერმანული ენა მე-5 კლასში (კვირაში 3 გაკვეთილი)
- რუსული ენა მე-5 კლასში (კვირაში 3 გაკვეთილი)
- ქართული ენა დამწყებთათვის არის დამატებითი საგანი არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასებში (2 გაკვეთილი კვირაში).

ენების შესწავლა საბაზო საფეხურის პროგრამაში (MYP)

ენა და ლიტერატურა (Language and Literature)

ენისა და ლიტერატურის კურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, რომელიც საუბრობს მშობლიურ ან მშობლიურთან გათანაბრებულ ენაზე. აქცენტი მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის სწავლაზე კეთდება. მეტყველებისა და მოსმენის უნარ-ჩვევების პრაქტიკაში განხორციელება კლასში ლიტერატურის შესწავლის დროს წამოჭრილი თემებისა და საკითხების განხილვითა და დისკუსიის გზით ხდება.

პროგრამის მიზნებია:

- ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რაც მოსწავლეებს სწავლების ენაზე წარმატებით მუშაობისა და აკადემიურ პროგრამაში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს;
- ენის შესახებ მოსწავლეების ცოდნის ამაღლება; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვისა და ლიტერატურის შეცნობისთვის საჭირო უნარების განვითარება.

სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სწავლის მიზნები და მოლოდინი, კონცეფციები, გლობალური კონტექსტი, შინაარსი და უნარები, რომლებიც საერთოა ყველა ენისთვის.

„ევროპული სკოლა“ შემდეგ ენებს სთავაზობს:

- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- რუსული ენა და ლიტერატურა;
- ქართული ენა და ლიტერატურა.

ენისა და ლიტერატურის სწავლება MYP პროგრამის პირველსავე წელს იწყება და იმ მოსწავლეებისთვის არის რეკომენდებული, რომელთა ენობრივი კომპეტენცია შეესაბამებაენისა და ლიტერატურის კურსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინგლისური, როგორც უცხო ენა/ LA English (ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული)

ენის შესწავლა MYP პროგრამის ფარგლებში მიზნად ისახავს სხვა ენებისა და კულტურების გაცნობიერებისა და პატივისცემის დანერგვას და ემსახურება მოსწავლის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც ენის შემდგომ შესწავლაში შეუწყობს ხელს.
პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური, სოციალური და პრაქტიკული ენის უნარ- ჩვევების სწავლებას, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ეფექტური კომუნიკაციისთვის, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ღირსეულსა და განათლებულ წევრებს. პროგრამა დამოუკიდებლად სწავლას წაახალისებს სტუდენტის მომზადების შესაბამისი, კვლევაზე დაფუძნებული, მეთოდის საფუძველზე. იმავდროულად, ის კულტურის განვითარებასა და საერთაშორისო ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს, რაც უზრუნველყოფს ერთობლივი ღონისძიებებით პატივისცემისა და ტოლერანტობის დანერგვას, ასევე მოსწავლის მომზადებას მუდმივად ცვალებად სამყაროში ადაპტირებისთვის.
მოსწავლეებს შეუძლიათ შემოთავაზებული ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული) აირჩიონ ერთი ენა და მთელი პროგრამის მანძილზე განაგრძონ მისი შესწავლა; ან მანამდე, სანამ არ მიაღწევენ მე-4 ფაზას და დაიწყებენ სხვა ენის შესწავლას. ენის შესწავლის პროგრამა 1-6 ფაზისგან შედგება. ჯგუფები დაკომპლექტებულია მოსწავლეთა ენის ცოდნის დონის შესაბამისად დაწყებითი დონე /ფაზები 1-2, საშუალო დონე/ფაზები 3-4 და კომპეტენტური დონე/ფაზები 5-6; ფაზები შეთავაზებულია ყოველ კლასში.

ხანგრძლივობა:
კლასებში 6, 7, 8, 9, 10 – 45-წუთიანია

- ინგლისური: 5 გაკვეთილი კვირაში (მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასში)
- ფრანგული, რუსული და გერმანული
- მე-6, მე-7 კლასებში - კვირაში 3 გაკვეთილი

- მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში - კვირაში 2 გაკვეთილი.

• ქართული დამწყებთათვის წარმოადგენს დამატებით საგანს არაქართულენოვან მოსწავლეებისთვის მე-6 და მე-7 კლასებში (კვირაში 2 გაკვეთილი).

სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები ამოწმებენ მოსწავლეთა ენობრივ პროფილს, წლის დასაწყისში კი ადგენენ ახალი მოსწავლეების ენობრივ პროფილს. ამის შემდეგ ყალიბდება ენის შემსწავლელი კლასები მოსწავლეების დონის/ფაზების მიხედვით. თუ მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ორი თანმიმდევრული ფაზის მოსწავლეები შეიძლება შესაბამის ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ.

ენების შესწავლა სადიპლომო პროგრამაში (DP) (საშუალო საფეხურის პროგრამა) და კარიერულ პროგრამაში (Career-related Programme)

Language A: ლიტერატურა

Language A: ლიტერატურის მიზანია:

მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პერიოდის, სტილისა და ჟანრის ტექსტების გაცნობა; დახმარება მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური ტექსტების დეტალურ ანალიზში; მოსწავლეთა გამოხატვის უნარის განვითარება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას; მოცემული ტექსტის კონტექსტის მნიშვნელობის აღქმასა და გაცნობიერებაში ხელშეწყობა; ნაწარმოების ტექსტების შესწავლის გზით სხვა კულტურის წარმომადგენლთა განსხვავებული შესაძლებლობების დაფასებასა და ამ შესაძლებლობების მნიშვნელობის გაგებაში დახმარება; დახმარება ტექსტის ფორმალური, სტილისტური და ესთეტიკური მხარეების შეცნობაში; სტუდენტებში ენისა და ლიტერატურის შესწავლის გზით სიამოვნების მიღების წახალისება და მთელი ცხოვრების მანძილზე ინტერესის გაღვივება; ლიტერატურული კრიტიკის დროს გამოყენებული ტექნიკის გაცნობა; დახმარება დამოუკიდებელი ლიტერატურული შეხედულების ჩამოყალიბებასა და ამ იდეების მხარდაჭერის უნარის განვითარებაში (სადიპლომო პროგრამა, ძირითადი ენა: ლიტერატურის სახელმძღვანელო, გვ. 14).

„ევროპული სკოლა“ სადიპლომო პროგრამის XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის ძირითადი ენის ლიტერატურის შემდეგ მეცადინეობებს სთავაზობს:

▪ ინგლისური ლიტერატურა

მაღალი დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 6-ჯერ სტანდარტული დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 4-ჯერ

▪ ქართული ლიტერატურა

მაღალი დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 6-ჯერ სტანდარტული დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 4-ჯერ

▪ რუსული ლიტერატურა

მაღალი დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 6-ჯერ სტანდარტული დონე: 45-წუთიანი გაკვეთილი, კვირაში 4-ჯერ

უცხო ენის შესწავლა (Language Acquisition)

ენის შესწავლის პროგრამა ორი თანამედროვე ენის კურსისგან შედგება - „language ab initio“ (ესპანური ენა) და „ინგლისური, როგორც უცხო ენა“, რომელიც ენის პროგრამებშია გათვალისწინებულია. „Language ab initio“ და „უცხო ენის შესწავლა“ ენის შემსწავლელი კურსებია, რომლებიც სტუდენტებში კულტურათაშორისი აღქმისა და შესაბამის საზოგადოებაში წარმატებით კომუნიკაციისთვის საჭირო უნარების განვითარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გასცდეს საკლასო ოთახის საზღვრებს, გააფართოოს თავისი მსოფლმხედველობა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას შეუწყოს ხელი. ორი თანამედროვე ენის შემსწავლელი კურსი - „Language ab initio“ და „უცხო ენის შესწავლა“ მოსწავლეთა ენობრივ შესაძლებლობებს ავითარებს ათვისების, პროდუქტიული და ინტერაქციული უნარების განვითარებით.

ათვისების უნარები: მოსწავლეები აცნობიერებენ და აფასებენ ავთენტურ პროფესიულ და მასმედიის საშუალებებში გადმოცემულ ტექსტებს; მათ წარმოდგენა ექმნებათ ლიტერატურული ტექსტების ისეთ ფუნდამენტურ ელემენტებზე, როგორებიცაა თემა, სიუჟეტი და ხასიათი. ისინი აანალიზებენ არგუმენტებს, ძირითად ასპექტებს შესაბამისი დეტალებისა და განმარტებებისგან განასხვავებენ. ისინი მრავალფეროვან სტრატეგიებს იყენებენ მნიშვნელობის გასაგებად. პროდუქტიული უნარები: მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე წარმოადგენენ და ავითარებენ თავიანთ იდეებსა და მოსაზრებებს. ისინი ახსნა- განმარტებებთან და მაგალითებთან ერთად აყალიბებენ არგუმენტებს. კომუნიკაციის საჭიროებების შესაბამისად საუბრობენ და წერენ დეტალურად, კერძოდ, აღწერენ, ყვებიან, განმარტავენ, არწმუნებენ, ადასტურებენ და აფასებენ. ინტერაქციული უნარები: მოსწავლეები ინიციატივებს ზეპირად გამოთქვამენ, მხარს უჭერენ მათ, სტილისა და აქცენტების შეცვლის გარკვეულ შესაძლებლობებს წარმოაჩენენ. ისინი განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებენ კურსის შინაარსთან და შესწავლის ენის კულტურასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე საუბრისა და დისკუსიების უწყვეტად წარმართვისთვის. მოსწავლეები საკითხის არსის განხილვისა და კომუნიკაციის დამყარების გამოცდილებას იძენენ.

უცხო ენის შესწავლის მიზნები

ორივე კურსს - „უცხო ენის შესწავლა” და „Language ab initio“ - საერთო მიზნები აქვს:

- საერთაშორისო აზროვნების განვითარება ენების, კულტურის, გლობალური მნიშვნელობის იდეებისა და საკითხების შესწავლის გზით;
- სტუდენტებისთვის მათ მიერ შესწავლილ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობის მიცემა სხვადასხვა კონტექსტის შესახებ და სხვადასხვა მიზნებისთვის;
- ტექსტის შესწავლისა და სოციალური ურთიერთქმედების გზით მოსწავლეთა ცნობიერებისა და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემის ჩამოყალიბება;
- მოსწავლეებში მათთვის ნაცნობ ენებსა და კულტურებს შორის ურთიერთობის შესახებ ცოდნის გაღრმავება;
- სტუდენტის გაცნობიერება ენის მნიშვნელობის შესახებ;
- ენის შესწავლისა და გამოკვლევის პროცესის მეშვეობით მოსწავლეებში ინტელექტუალური ჩართულობისა და კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება;
- მოსწავლეებში შემდგომი განათლების, მუშაობისა და დასვენების შესაძლებლობების

განვითარება დამატებითი უცხო ენის გამოყენების მეშვეობით;

- ენის შესწავლის პროცესში ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის წახალისება.

შეფასების მიზნები

- გასაგები და ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მიზნებისთვის;
- ენის შეცნობა და გამოყენება სხვადასხვა კულტურებსა და/ან ხალხებს შორის და აუდიტორიასთან ურთიერთობის კონტექსტში;
- ენის შეცნობა და გამოყენება სხვადასხვა იდეის თავისუფლად და ზუსტად გამოხატვის მიზნით;
- სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით იდეების ჩამოყალიბება და წარდგენა;
- სხვადასხვა წერილობითი, აუდიო, ვიზუალური და აუდიოვიზუალური ტექსტების გაანალიზება და ასახვა.

ენების შესწავლა ამერიკულ უმაღლეს სკოლაში

ამერიკული უმაღლესი სკოლის სამუშაო ენა

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში სწავლების და სამუშაო ენა არის ინგლისური. ყველა გაკვეთილი, შეტყობინება, პოლიტიკის დოკუმენტი, წესები და პროცედურები, გადაწყვეტილებები, შეხვედრის ოქმები და შეხვედრები, მათ შორის, სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრები და ოქმები მეცადინეობების შესახებ დგება და იწერება ინგლისურ

ენაზე. იმ შემთხვევაში, თუკი დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები ქართულად იმართება, სხდომის ოქმები ითარგმნება ინგლისურ ენაზე.
ენის პოლიტიკით დადგენილი წესებიდან გამონაკლისს წარმოადგენს დავალებები, კომუნიკაცია (ურთიერთობა) და გაკვეთილები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა, ლათინური ენა.
ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები სრულად არიან ინგლისურენოვან გარემოში ჩართულნი.

ენების სწავლების საათების განაწილება შემდეგია:

- ინგლისური ენა:

VIII-XII კლასები – კვირაში 5 საათი.

- ქართული ენა (ქართველი სტუდენტებისთვის):VIII-XII კლასები – კვირაში 5 საათი.
- არჩევითი უცხოური ენა (/ესპანური//ლათინური)VIII-XII კლასები – კვირაში 2 საათი.

ევროპული სკოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - საბავშვო ბაღი

საბავშვო ბაღში სწავლება ორ ენაზე მიმდინარეობს: ქართულად და ინგლისურად. ქართულ პროგრამაში ინგლისური ენის მეცადინეობა კვირაში ოთხჯერ, ხოლო რუსული ენის - კვირაში ორჯერ ტარდება.
ინგლისურ პროგრამაში ქართული და რუსული ენების შესწავლა კლუბების სახით არის შემოთავაზებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Learning in a language other than mother tongue in IB programmes, April , 2008
2. IB Programme Standards & Practices, April , 2020
3. MYP Language Acquisition Guide, September, 2020
4. PYP: From Principles into Practice: The Learner, December, 2018
5. PYP: From Principles into Practice: The Learning & Teaching, February, 2019
6. PYP: From Principles into Practice: The Learning Community December, 2018
7. Primary Years Programme Reviewing a language policy, December, 2018
8. IB Guidelines for developing a school language policy, April, 2008
9. Guidelines for school self-reflection on its language policy, 2012
10. Guide to Programme Evaluation, September, 2020
11. Diploma Programme: Language B guide. International Baccalaureate Organization, 2018.
12. Diploma Programme: Language A: Literature guide. PDF, International Baccalaureate Organization, 2019.
13. Learning in a language other than mother tongue in IB programmes IBO, April, 2008
14. Diploma Programme: From principles into practice, August, 2015
15. Language and learning in the IB programmes, 2014
16. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024
17. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (საბაზო საფეხური) 2018-2024